პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 72 (9848) | ოთხშაბათი, 24 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
საკავშირო ალკა XII ყრილობა (მე-2 გვერდი).
ვ. ოვეჩკინი. — ერთ კრებაზე... (მე-2 და მე-3 გვერდი).
ბაზეთების ფურცლებზე. — ძმური მეგობრობის ნიშნით (მე-2 გვერდი).
წარმატებით შეასრულოთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. — ს. ქოჩლაძე. — ენისელი მექანიზატორები ცუდად [illegible] ბოსტნეულის უხვი მოსავლისათვის (1-ლი გვერდი).
შ. არჩვაძე. — გამსველი [illegible] (მე-3 გვერდი).
წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).
ვ. გაბელია. — შავი ზღვის სანაპირო სტადიონებზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).
თბილისი — ქალაქის ქრონიკა (მე-4 გვერდი).

მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავაფარეთ საგაზაფხულო თესვა

დიდ პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობას განიცდის ჩვენი სოციალისტური სამშობლო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა უდიდესი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა და გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიანი, მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდრო დარაზმულობის ძლავრ დემონსტრაციად. კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკმა ამ არჩევნებში სრული და განუყოფელი გამარჯვება მოიპოვა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი კმაყოფილებითა და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების შემდგომი გადიდებისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ". მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია გამოთქვამენ თავიანთ მზადყოფნას მთელი ძალა და ენერგია მოახმარონ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, — ნათქვამია დადგენილებაში, — მოუწოდებს სოფლის ყველა კომუნისტსა და კომკავშირელს, ყველა კოლმეურნეს და მტს-ელისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეული მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლისათვის, პირუტყვის სულადობის შემდგომი ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის".

პარტიის ეს მხურვალე მოწოდება გულის სიღრმეში ჩასწვდა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს. ისინი ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ, რათა მთლიანად გამოიყენონ მოსავლიანობის გადიდების ყველა რეზერვი.

თელავის რაიონის სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის" თავმჯდომარემ ამხ. ს. ძამუკაშვილმა კოლმეურნეთა საერთო აზრი და ფიქრი გამოხატა, როცა დადგენილების გაცნობისას თქვა: — კარგად გვესმის რა ის დიდი მნიშვნელობა, რაც მარცვლეული მეურნეობის განვითარებას აქვს მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოების საქმეში, გადავწყვიტეთ წელს 480 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ 18 ცენტნერი პური. წელსვე ავითვისებთ 35 ჰექტარ ყამირ მიწას.

რუისპირელი კოლმეურნეები ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ გაზაფხულს. ასეთი მაგალითი მრავალია.

პარტიას მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლად მიაჩნია. რაც უფრო მეტი გვექნება მარცვლეული, ჩვენი ქვეყანა მით უფრო მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს — პურს, ხორცს, ქონს, რძეს, ერბო-კარაქს მიიღებს. ტექნიკური კულტურების წარმოების გაფართოება, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარშემო ბოსტნეულ-კარტოფილისა და მეცხოველეობის ბაზების განვითარება აგრეთვე მოითხოვს გადიდდეს ამ რაიონების მომარაგება პურით. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთ-ერთ პირველხარისხოვან ამოცანად დასახა მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდება.

ახლა, როცა გაზაფხული ძალაში შევიდა და ხვნა-თესვის გაჩაღების დრო დადგა, მთელი რიგი კოლმეურნეობები, მტს-ები მოუმზადებელი ხვდებიან მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს, რაც საფრთხეს უქმნის უხვი მოსავლის მოყვანას. ტრაქტორების რემონტი ჩამორჩა წნორის, რუისის, ზუგდიდის და სხვა მტს-ებში. მტს-ების დირექტორებმა გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღონ მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებისათვის. არის სერიოზული ნაკლოვანებანი სათადარიგო ნაწილების გადმოზიდვისა და ცალკეულ შემთხვევებში განაწილების საქმეშიც. „გლავმაშსბიტის" საქართველოს კანტორა ვალდებულია უფრო ოპერატიულად, მოქნილად იმუშაოს, დამყაროს სრული წესრიგი თავის ბაზებში.

მართალია, რესპუბლიკაში შესრულებულია ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით მხოლოდ 16,5 პროცენტით.

ზოგან სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა არ არის აყვანილი ახალი ამოცანების დონემდე. პარტიის რაიკომების მდივნები მტს-ების ზონაში და ინსტრუქტორები კვლავ რაიონულ ცენტრებში ცხოვრობენ და ამიტომ მტს-ების. კოლმეურნეობების ცხოვრებას ორმად ვერ სწვდებიან და საჭირო დახმარებას ვერ უწევენ საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარებაში. ასეთ ფაქტებს ვხვდებით საგარეჯოს, ბორჯომის, კაჭრეთის, ყასპის რაიონებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებაში და ამ პლენუმზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში მოცემულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების საბრძოლო პროგრამა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პარტიულ ორგანოებს მოსთხოვა - სერიოზულად გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი, ბოლო მოუღონ ხშირ მიწერ-მოწერას, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატიულ მეთოდს და სასხდომო ფუსფუსს, მეურნეობას უხელმძღვანელონ კვალიფიციურად, საქმის ცოდნით, უზრუნველყონ უკლებლივ ყველა კოლმეურნეობის აყვანა მოწინავეთა დონემდე.

ამ დღეებში როცა ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლისათვის, პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, მასების შემოქმედებითი შრომითი აქტივობა გამოიყენონ საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში ჩამორჩენის დაუყოვნებლივ გამოსწორებისათვის. გაჭიანურებულმა ზამთარმა საგრძნობლად შეამცირა საგაზაფხულო თესვის აგროტექნიკური ვადები. მთავარი ის არის, რომ ახლა დრო არ გავაცდინოთ. საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ თვითეული დღე, თვითეული საათიც კი და მთელი ძალები დავრაზმოთ პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული გადაუდებელი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

ჭიათურელ მაღაროელთა დაჯილდოება

ჭიათურა. (საკ. კორ.). მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 24 თებერვლის ბრძანებულებით მარგანეცის მრეწველობაში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებულია მაღაროელთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა დიდი ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არიან: კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს უბნის გამგე ბ. ბოჭორიშვილი და ცვლის უფროსი ი. ასანიძე, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ამწმენდი გ. ბოყოველი და მექანიკოსი შ. ბუხრაშვილი, ლენინის სახელობის მაღაროს მებიგის დამხმარე ს. კობერიძე, ვოროშილოვის სახელობის მაღაროს მებიგე ვ. ლაბაძე, სტალინის სახელობის მაღაროს ცვლის უფროსი ბ. ჩხეიძე, დიმიტროვის სახელობის მაღაროს ამწმენდი ე. ფხალაძე და სხვ.

ამ სასიხარულო ცნობის მიღების აღსანიშნავად მაღაროელებმა იკისრეს გააჩაღონ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება ახალი საწარმოო გამარჯვებების მოსაპოვებლად.

მრავალი დამთვალიერებელი ჰყავს საქართველოს დიღმის სახელმწიფო მანქანა-იარაღების საგამომცდელო სადგურს. ამ დღეებში აქ იყო ტყიბულის რაიონის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მეცხოველეობის ფერმების გამგეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ერთი ჯგუფი. **სურათზე:** წინა რიგზე, მარჯვნიდან მეორე, სადგურის უფროსი მეცნიერი მუშაკი ამხ. ვ. ყაზახაშვილი ტყიბულელ სოფლის მეურნეობის მუშაკებს აცნობს კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივად სარგავი მანქანის „სკგ-4" მუშაობის წესებს.

ფოტო შ. გოქაძისა.

ლაგოდეხელ მექანიზატორებთან

ლაგოდეხის მტს-ში ახალი შრომითი აღმავლობაა. მინდვრად გაჩაღდა ხვნა-თესვა. მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში შრომატევადი პროცესები ძირითადად მექანიზებულია. შარშან მტს-მა კვადრატულ-ბუდობრივად დათესა ასამდე ჰექტარი მზესუმზირა და სიმინდი, რამაც ჰექტარზე 5 ცენტნერით გაზარდა მოსავალი. წელს კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი ერთიზუთად გაიზრდება. მომზადებულია კადრები, რომლებიც სრულყოფილად დაეუფლნენ თამბაქოს, ბოსტნეულის, მზესუმზირას, სიმინდის რგვისა და თესვის მექანიზაციას. შრომის, ულიანოვკისა და ცოდნისკარის კოლმეურნეობებში მექანიზმების საშუალებით დაირგვება 100 ჰექტარი თამბაქო.

წელს პირველად ხორციელდება ტორფნეშომპალის ქოთნებით პამიდორისა და კიტრის რგვა. მტს-ის ზონის კოლმეურნეობებისათვის უკვე დამზადებულია 10.000 ცალი ქოთანი.

გაჩაღდა ნასვენი და ახალი მიწების ათვისება. პირუტყვის საძოვრების გაფართოების მიზნით 100 ჰექტარ ფართობზე ეწყობა ამოძირკვა, აქედან ნახევარზე მეტი ფართობი უკვე ათვისებულია. სკრეპერები და გრეიდერი შეუდგნენ მიწის მოშანდაკებას, დაკვალვას და ფართობების სარწყავად მომზადებას.

★

აბრეშუმის ქსოვილეგის სიუხვისათვის

ქუთაისი. (საკ. კორ.). დიდი წარმატებით მიმდინარეობს ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის გაფართოება და ახალი ტექნიკით აღჭურვა მაღალხარისხოვანი აბრეშუმის ქსოვილების გამოშვების გასადიდებლად. კომბინატის საწარმოებში ახალი ტექნიკის გამართვაში დახმარების გასაწევად ჩამოვიდნენ სპეციალისტი მემონტაჟეები თბილისიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან.

ამჟამად აქ მუშაობს მოსკოვის ოლქის ქარხანა „პერვოე მაიას" ბრიგადა ოსტატ ა. პიდენკოს ხელმძღვანელობით და კიროვოგრადის ოლქის (უკრაინა) კამენსკის მანქანათმშენებელი ქარხნის მემონტაჟეთა ბრიგადა ნ. ჟილენკოს ხელმძღვანელობით.

თბილისელმა მემონტაჟეებმა 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნიდან უკვე დაამთავრეს თბილისური საქსოვი მანქანების დადგმა.

კოლმეურნეობეგის თავმჯდომარეთა სემინარი

ამ დღეებში ცხაკაიას მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მოეწყო რაიონის კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა ორდღიანი სემინარი.

პარტიის რაიკომის მდივანმა ცხაკაიას მტს-ის ზონაში ამხ. შ. ხუხუამ წაიკითხა მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილება და პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებანი".

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის გ. კუპრეიშვილის ლექციის თემა იყო „სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვა მრავალდარგოვან კოლმეურნეობაში". ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის მ. გუგუშვილის ლექცია შეეხებოდა სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივ თესვას, სათეს და სარგავ ახალ მანქანებს. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ე. მაღრაძე სემინარის მსმენელებს ესაუბრა ვაზის სწორად გასხვლასა და გაფორმებაზე, როგორც ყურძნის უხვი მოსავლის საწინდარზე.

სემინარზე ლექციები წაიკითხეს აგრეთვე მანქანა-ტრაქტორთა სადგურის სპეციალისტებმა.

სემინარი მომზადებულად ჩატარდა. ლექტორებმა ფართოდ გამოიყენეს ილუსტრაცია და თვალსაჩინობა (პლაკატები, დიაგრამები და სხვ), ამომწურავად უპასუხეს დასმულ კითხვებზე. თავის მხრივ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა ცხოველი მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის მთელი რიგი მოწინავე მეთოდების გარჩევაში.

ქვანახშირის მოპოვების ზრდა სანგრევი ხაზის გაუდიდებლად

ტყიბულქვანახშირის ტრესტის მოლოტოვის სახელობის შახტის მეორე უბნის უფროსმა შ. ლაფერაძემ შეიმუშავა ქვანახშირის ამოღების გადიდების ახალი მეთოდი სანგრევი ხაზის გაუდიდებლად. ერთ-ერთი ღრმა ჰორიზონტის მესამე ლავიდან, რომლის სიგრძე 45 მეტრია, ხოლო სიგანე 10 მეტრი, უბნის კოლექტივს თებერვალში გეგმით უნდა ამოეღო 2.600 ტონა ქვანახშირი, ფაქტიურად კი ამ უბნის მეშახტეებმა შეძლეს 3.100 ტონა ქვანახშირის ამოღება. ამასთან ლავის გამომუშავება დაამთავრეს ვადამდე ათი დღით ადრე.

როგორ მიაღწია ამას უბნის კოლექტივმა?

ლავების შორის, როგორც წესი, ტოვებენ ქვანახშირის მთელანებს („ცელიკები"). ეს აუცილებელია მთელი გამომამუშავებელი ლავის წესიერად მართვისათვის, სამთო უსაშიშროებისათვის. უბნის უფროსმა ისე მოაწყო საქმე, რომ ქვანახშირი გამოაქვთ მთელანებიდანაც, სამაგიეროდ გამოღებულ ადგილას ჰორიზონტალურ-ჯვარედინად აწყობენ ბიგებს, ეგრეთწოდებულ ბეღლებს და ამით ცვლიან მთელანას, უზრუნველყოფენ გამომუშავებული ადგილის ჭერის სიმაგრის გაძლიერებას. ამან უბნის კოლექტივს საშუალება მისცა გამომუშავებინა დასახელებული ჰორიზონტის ლავაში ქვანახშირის მთელანებიც, რამაც სანგრევი ხაზის გაუდიდებლად 500 ტონით მეტი ქვანახშირის ამოღების შესაძლებლობა შექმნა. ამასთან ქვანახშირის დანაკარგის შემცირებისათვის უბანში გამოიყენეს ლავში მონგრეული ქვანახშირის მექანიზმების საშუალებით ჩამოწევა და მომხვეტი ტრანსპორტერებით საშახტო ვაგონებში ჩატვირთვა.

ამრიგად, თებერვალში უბნის მეშახტეები 4 ლავის ნაცვლად მუშაობდნენ სამ ლავში, 160 გრძივი მეტრი სანგრევის ნაცვლად — 115 გრძივ მეტრ სანგრევში. მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს სამი სარკინიგზო შეელონი ქვანახშირი ამოეღოთ გეგმის გადამეტებით.

სანგრევი ხაზის გაუდიდებლად ზეგეგმითი ქვანახშირის მოპოვება უბნის კოლექტივს საშუალებას აძლევს გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, მიაღწიოს სამაგრი მასალების საგრძნობ ეკონომიას, ნაკლები მუშახელით ქვანახშირის ამოღების მკვეთრ გადიდებას და ამასთან წარმატებით უზრუნველყოს სამუშაო ფრონტის შემდგომი მომზადება.

რამდენიმე თვის წინათ უბანში გამართეს ჯალამბარი, რომლითაც წარმოებს სანგრევების მომარაგება სამაგრი მასალით. ეს სამთო მექანიზმი ერთ ცვლაში ამარაგებს უბანს მთელი დღეღამის განმავლობაში საჭირო სამაგრი მასალით. ჯალამბრის გამოყენებით უბნის კოლექტივმა სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად გაათავისუფლა 22 მეშახტე.

უბანში აქვთ 6 ახალი ტრანსპორტიორი. მათი საშუალებით ხდება ქვანახშირის მექანიკურად ჩატვირთვა ვაგონებში. ამ სამთო მანქანებმა 68 კაცის შრომა შეცვალა.

უბნის კოლექტივი უნარიანად იყენებს ძველ სამთო გამონამუშევრებში დატოვებულ სამაგრ მასალას. მაგალითად, გასულ წელს აქ გამოიყენეს ძველ გამონამუშევრებში ჩატოვებული მთელი სამაგრი მასალის 35 პროცენტი, კერძოდ 250 კუბმეტრი ხე-ტყე, რამაც უბანს საკმაოდ დიდი თანხის ეკონომია მისცა.

უკანასკნელ ხანებში უბანში იყენებენ გამონამუშევრების ლითონით გადამაგრების მეთოდს. ამის შედეგად, გარდა ხე-ტყის მასალის დაზოგვისა, მიღწეულია თითქმის სრული უსაშიშროება და გამონამუშევრების შენახვის ხანგრძლივობა.

უბანში მომუშავე მეშახტეთა უმეტესობა დაუფლებულია ორ-სამ პროფესიას. ამის შედეგად თვითეული მეშახტის შრომის ნაყოფიერება საშუალოდ გადიდდა 135 პროცენტამდე. ამ კომპლექსურ ბრიგადაში, რომელსაც ვ. არაბიძე ხელმძღვანელობს, იანვარში თვითეული მეშახტის შრომის ნაყოფიერება ცვლაში ერთიორად და მეტად გაიზარდა.

გაზეთ „ტყიბულის მაღაროელის" რედაქცია — „კომუნისტის" კოლექტიური კორესპონდენტი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სემეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერების მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ საქართველოს სს რესპუბლიკაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის **დაჯილდოებულ იქნნენ:**

ლენინის ორდენით

1. **ასათიანი** ვლადიმერ სამსონის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქიმია-ფარმაცევტიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.
2. **ასათიანი** ლუბა მიხეილის ასული — პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
3. **გაბიჩვიძე** იონა ერასტის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, კანისა და ვენერულ სნეულებათა ინსტიტუტის განყოფილების გამგე.
4. **ყურული** შალვა ალექსანდრეს-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, კანისა და ვენერულ სნეულებათა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
5. **ქუთათელაძე** იოველ გრიგოლის-ძე — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქიმია-ფარმაცევტიკის ინსტიტუტის დირექტორი.
6. **მაჩაბელი** მარიამ ელიზბარის ასული — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი.
7. **მაჭავარიანი** სიმონ ნიკოლოზის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, კანისა და ვენერულ სნეულებათა ინსტიტუტის დირექტორი.
8. **ფავლენიშვილი** გიორგი ვასილის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, სამამულო ომის ინვალიდთა ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.
9. **სუროვცევი** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
10. **ცაგარელი** გიორგი ალექსანდრეს-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი.
11. **ჩარგეშიანელი** გიორგი მიხეილის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ჯიბლაძე** ვენერა ეპიფანეს ასული — ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, სანიტარიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
2. **ჯიმშელეიშვილი** ვერა პავლეს ასული — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი.
3. **მხეიძე** ფარნაოზ აკაკის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ტუბერკულოზის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.
4. **პაპიტაშვილი** (პაპიტოვი) მიხეილ ერმოლოზის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.
5. **თოფურიძე** ილია დავითის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, კანისა და ვენერულ სნეულებათა ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

„სპატიო ნიშნის" ორდენით

1. **გოგიბედაშვილი** ვახტანგ გრიგოლის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, კეროლოგიისა და ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტის დირექტორი.
2. **ინასარიძე** გიორგი ზაქარიას-ძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ტუბერკულოზის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.
3. **კაჩუხაშვილი** თამარ ნიკოლოზის ასული — ფარმაცევტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ქიმია-ფარმაცევტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
4. **კისტიაკოვსკაია** ირინე ლეონიდეს ასული — ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.
5. **ქორიძე** შალვა მელტონის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტის დირექტორი.
6. **ჩილინგაროვა** სუსანა ვართანის ასული — ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, სანიტარიის ინსტიტუტის სექტორის გამგე.
7. **წვერავა** ელენე ნიკოლოზის ასული — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"

1. **ასიტაშვილი** გიორგი იაკობის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ტუბერკულოზის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.
2. **ბოსტოღანაშვილი** ვიქტორ სოლომონის-ძე — ფარმაცევტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ქიმია-ფარმაცევტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
3. **კანდელაკი** თამარ ვლადიმერის ასული — სანიტარიის ინსტიტუტის ლაბორანტი.
4. **ყუბანეიშვილი** ილარიონ ავოლონის-ძე — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
5. **ნაკაშიძე** ელენე ერმოლეს ასული — მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.
6. **წერეთელი** მარიამ პავლეს ასული — ქიმია-ფარმაცევტიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.
7. **ენუქიძე** ირინე თევდორის ასული — ფარმაცევტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ქიმია-ფარმაცევტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"

1. **კოსტანდოვა** ზინაიდა არტემის ასული — ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.
2. **ტატანაშვილი** თამარ ალექსის ასული — სანიტარიის ინსტიტუტის პრეპარატორი.
3. **ეგნატაშვილი** შოთა ვასილის-ძე — მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის ინსტიტუტის დირექტორი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 6 მარტი.

მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავაფარეთ საგაზაფხულო თესვა

2 აპრილს საღამოს 8 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 8) მოწვეულია

საქართველოს პროფკავშირთა მესამე რესპუბლიკური საკავშირთაშორისო კონფერენცია.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 31 მარტს და 1-2 აპრილს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს შენობაში (გრიბოედოვის ქუჩა № 19. ტელეფონები № 3-47-42 და 3-92-87).

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო.

საკავშირო ალკკ XII ყრილობა

22 მარტს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, საკავშირო ალკკ XII ყრილობა განაგრძობდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვას. დილის სხდომა დაიწყო ბელორუსიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **მაშეროვის** გამოსვლით.

— პერიოდი, რომელიც საკავშირო ალკკ XI ყრილობის შემდეგ გავიდა, — ამბობს იგი, — ხასიათდება კომკავშირული რიგების შემდგომი ზრდით, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში კომკავშირის საქმიანობის გაუმჯობესებით. ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები უფრო აქტიურად მონაწილეობენ კოლმეურნეობების, მტს-ების და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობაში. 18 ათასზე მტმა ჯაბუკმა და ქალაშვილმა განაცხადა სურვილი გაემგზავროს უამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

ამხ. მაშეროვი აკრიტიკებს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც პოლიტიკური განათლებისადმი თავის ხელმძღვანელობას ხშირად ზოუდავდა იმ მოთხოვნით, რომ კომკავშირელები და ახალგაზრდობა მაქსიმალურად იქნან ჩაბმულნი წრეებსა და პოლიტსკოლებში, სუსტად სწვდებოდა მათი მუშაობის შინაარსს.

სიტყვა ეძლევა სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. **სემიჩასტნიხ.** იგი ამბობს, რომ XI ყრილობის შემდეგ განვლილ ხანში საკავშირო ალკკ რიგები გადიდდა ცხრა მილიონზე მეტი წევრით. ეს მკაფიოდ მოწმობს ახალგაზრდობის ფართო მასებთან კომკავშირის ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. მრეწველობაში, რკინიგზის ტრანსპორტზე, მშენებლობებზე და სასწავლებლებში კომკავშირული ორგანიზაციების რაოდენობა 44.641-ით გადიდდა. დიდი კომკავშირული ორგანიზაციები შეიქმნა „კუიბიშევჰიდროშენზე", „სტალინგრადჰიდროშენზე" და ჩვენი ქვეყნის სხვა მშენებლობებზე.

სულ საკავშირო ალკკ XII ყრილობისთვის არეულია 1.334 დელეგატი. მათ შორის არიან მუშები, კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მეცნიერების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის მეომრები, ხელოვნების, ლიტერატურის, პრესის მუშაკები, მასწავლებლები და პიონერხელმძღვანელები, სტუდენტები და მოსწავლეები. დელეგატთა 43,8 პროცენტს აქვს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, 395 კაცი წარმოებისაგან მოუწვეტლივ სწავლობს უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში. დელეგატთა შორის არის 8 საბჭოთა კავშირის გმირი, 24 სოციალისტური შრომის გმირი, 556 კაცს აქვს მთავრობის ჯილდოები.

კომკავშირის ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **სობოლევმა** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იზრდება და იწრთობა ახალგაზრდობა კონკრეტული პრაქტიკული საქმეებით.

ჩერკასის ოლქის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" მწველავი სოციალისტური შრომის გმირი ამხ. **რეგა** ლაპარაკობს, რომ უკრაინელი კომკავშირელები და ახალგაზრდობა ბეჯითად შრომობენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც პარტიამ დასახა.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ზალუჟნიმ** თავისი სიტყვა მიუძღვნა მრეწველობის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას. კომკავშირელთა რაოდენობა მრეწველობაში, ტრანსპორტსა და მშენებლობაში 2 მილიონით და მეტით გადიდდა. კომკავშირელთა რაოდენობა გადიდდა მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიც არის ქვანახშირის, ნავთობის, მსუბუქი და კვების მრეწველობა. მაგრამ კომკავშირული მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს. საწარმოების ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია სუსტად რაზმავს ახალგაზრდობას შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **რომანოვი.** უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, ამბობს იგი, ფიზკულტურელთა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში ერთიორად და მეტად გადიდდა, მომზადებულია სამი ათასზე მეტი სპორტის ოსტატი. საბჭოთა სპორტსმენებმა დაამყარეს სსრ კავშირის 2.131 რეკორდი, აქედან 208 ოფიციალური მსოფლიო რეკორდებს აღემატება.

სიტყვა ეძლევა ჩინეთის ახალგაზრდობის ახალდემოკრატიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანს **ლუ დაიუ-შენს.** დელეგატები და სტუმრები მქუხარე ოვაციას უმართავენ დიდი ჩინელი ხალხის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელს. ლუ დაიუ-შენმა ჩინეთის ახალგაზრდობის სახელით მხურვალე სალამი გადასცა ყრილობის მონაწილეებს და მათი სახით მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას. ლენინური კომკავშარი, ამბობს იგი, ნიმუშია ახალგაზრდობის ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც საზღვარგარეთის კვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები ხელმძღვანელობენ. მოწონავე ახალგაზრდობის ორგანიზაციები კომკავშირისაგან სწავლობენ იმას, თუ როგორ უნდა გაბრდნენ პარტიის მებრძოლი თანაშემწე და რეზერვი, როგორ უნდა აღზარდონ ახალგაზრდობა კომუნიზმის სულისკვეთებით.

ჩინეთის ახალგაზრდობა დიდი ენთუზიაზმით ადევნებს თვალყურს საბჭოთა ახალგაზრდობის წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. ჩვენ მშვენივრად გვესმის, აცხადებს ორატორი, რომ საბჭოთა კავშირის დღეევანდელი ღიმ ჩვენი ხვალინდელი დღეა!

ლუ დაიუ-შენი ლაპარაკობს სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა მეგობრობაზე, რომელიც სულ უფრო მტკიცდება და რომელიც მძლავრი ძალა გახდა აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში. ჩინეთის დელეგაციამ ყრილობის პრეზიდიუმს გადასცა ახალგაზრდობის ახალდემოკრატიული კავშირის წითელი ხავერდის დროშა, აგრეთვე მოქმედი მოდელი ჩარხისა, რომელიც მუკდენის ჩარხშენებელი ქარხნის ახალგაზრდობის კავშირის წევრებმა გააკეთეს საკავშირო ალკკ XII ყრილობის პატივსაცემად. ამას ყრილობის მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით და „ვაშას" შეძახილებით ხვდებიან. დელეგაციის წევრებმა ყრილობის მონაწილეებს გადასცეს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ნიშნები.

ტრიბუნაზეა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი **ბრუნო ბერნინი.** დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან მას. ბრუნო ბერნინი აქვეყნებს დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის წერილს.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა მისალმების დასასრულს გამარჯვებას უსურვებს გმირ კომკავშარსა და საბჭოთა ახალგაზრდობას, საბჭოთა ახალგაზრდობისა და მსოფლიოს ახალგაზრდობის ურღვევ მეგობრობას, ახალგაზრდა თაობის საერთაშორისო ერთიანობას.

ტაშის გრიალში დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის დელეგაციამ ყრილობას გადასცა ფედერაციის სპატაკო დროშა, აგრეთვე ალბომი, რომელშიც ასახულია მისი რვა წლის ბრძოლა ახალგაზრდობის ინტერესების დასაცავად.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე კომკავშირის ივანოვოს საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ზავიალოვა,** სარატოვის ოლქის კომკავშირის რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. **აპასოვა,** ყირიმეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **აბდიკულოვი.**

22 მარტის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა. დელეგატები მხურვალედ მიესალმნენ ამხანაგების **გ. მ. მალენკოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ა. ბულგანინის, მ. ა. სუსლოვის, პ. ნ. პოსპელოვისა** და **ნ. ნ. შატალინის** გამოჩენას მთავრობის ლოჟებში.

სიტყვა ეძლევა ლატვიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **ბეშანს.** იგი ლაპარაკობს, რომ საბჭოთა ლატვიის ახალგაზრდობა პარტიის აქტიური თანაშემწეა რესპუბლიკის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრაში. კომკავშარი დიდ როლს ასრულებს საკოლმეურნეო მშენებლობაში. ალკკ 750 წევრი დაწინაურებულია კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე, ათასზე მეტი კომკავშირელი არჩეულია კოლმეურნეობების გამგეობებისა და სარევიზიო კომისიების შემადგენლობაში.

ამხ. **ბეშანი** აკრიტიკებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სათანადო ლიტერატურითა და სახელმძღვანელოებით ახალგაზრდობას, რომელსაც სურს შეისწავლოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" მთავარმა რედაქტორმა ამხ. **გორიუნოვმა** თავის სიტყვაში აღიარა, რომ სამართლიანია ის სერიოზული კრიტიკა, რომელიც ყრილობაზე გაუწიეს „კომსომოლსკაია პრავდის" მუშაობას. ჩვენ პირობას ვაძლევთ ყრილობას, განაცხადა მან, სერიოზულად გამოვასწოროთ საქმე, მივიღოთ ღონისძიებანი გაზეთის გასაუმჯობესებლად.

ტრიბუნაზეა ტამბოვის ოლქის რეიკასის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **კაპინი.** იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ მოხერხდა სასოფლო-სამეურნეო არტელის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით მოკლე ვადაში — წელიწად-ნახევარში — დაეძლიათ ჩამორჩენილობა და მოწინავეთა რიგებში გამოსულიყვნენ. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა გადიდდა ორჯერ-სამჯერ, თითქმის ერთიორად გაიზარდა კოლმეურნეობის შემოსავალი, მნიშვნელოვნად გადიდდა შრომადღის ანაზღაურება.

სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ტერ-გაზარიანცმა** ილაპარაკა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების მოწაფლეობაზე ფართო მოხმარების საგნების წარმოებას გადიდებისათვის ბრძოლაში.

დელეგატებმა და სტუმრებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს **ნესმეიანოვის** სიტყვა. მან ილაპარაკა ჩვენი ქვეყნის მეცნიერების უდიდეს მიღწევებზე ცოდნის სხვადასხვა დარგში, მის ფართოდ გამოყენებაზე სახალხო მეურნეობაში, შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე. მეცნიერებაში, თქვა აკადემიკოსმა, მთავარია კადრები. მეცნიერული კადრების ახალგაზრდათა ნაწილი წლითიწლობით იზრდება. 1.200-მდე კომკავშირელი აკადემიის ასპირანტი და დოქტორანტია. აკადემიის პრეზიდენტმა რწმენა გამოთქვა, რომ კომკავშირელები, ახალგაზრდობა კვლავაც ბეჯითად დაეუფლებიან ცოდნის მწვერვალებს.

მართალი იყვნენ ის დელეგატები, ამბობს სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი ამხ. **სურკოვი,** რომლებიც ზოგიერთ მწერალს უსაყვედურებდნენ, რომ ისინი მოსწყდნენ ცხოვრებას, მოუწოდებდნენ მათ ზედმიწევნით შეისწავლონ მათი მომავალი წიგნების ახალგაზრდა გმირების ცხოვრება. ახლ ლენინური კომკავშირი დაარაზმა დიდი შრომითი გმირობისათვის — ყამირი მიწების ათვისებისათვის. ეს გმირობა დიდი და კეთილშობილურია. მაგრამ იგი რომ მთელი სიდიადით ვიგრძნოთ, მწერალმა მის გმირთან ერთად უნდა განიცადოს პირველი გაზაფხული ახალ ადგილზე, ის სიძნელეები, რომლებიც უნდა გადალახოს, მისი პირველი სიხარული და პირველი გამარჯვებანი, მაშინ შეძლებს იგი შექმნას მართალი და ძლიერი ნაწარმოები.

ამხ. სურკოვმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირი მიიღებს ღონისძიებებს ისეთი ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომელნიც ცხოვრების მოთხოვნებს შეესაბამება.

დელეგატები მხურვალე ტაშით შეხვდნენ პოლონელი ახალგაზრდობის კავშირის მთავარი გამგეობის თავმჯდომარეს **სტანისლავ პილიავკას.** მიესალმა რა საკავშირო ალკკ XII ყრილობის დელეგატებს, კომკავშირელებს, საბჭოთა ახალგაზრდობას პოლონელი ახალგაზრდობის კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ჯარებისა და ქალაშვილების სახელით, მან თქვა, რომ საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრობა მტკიცე და ურღვევია.

ტაშის გრიალში სტანისლავ პილიავკამ პრეზიდიუმს გადასცა საჩუქარი — ალბომი პოლონელი ახალგაზრდობის ცხოვრებისა და შრომის შესახებ.

დარბაზში კვლავ გაიმართა ოვაციები, როცა თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ სიტყვა ეძლევა საფრანგეთის რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირის გენერალურ მდივანს **გი დიუკოლონს,** რომელმაც ყრილობას გადასცა საფრანგეთის რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირისა და ფრანგი ქალაშვილების კავშირის მისალმება. დელეგაციის წევრებმა პრეზიდიუმს გადასცეს ამ ორგანიზაციების დროშები.

(საკდესი).



თბილისი. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში. **სურათზე:** ჩაის ფოთლის გადასამუშავებელი საოლერო მანქანების აწყობა რესპუბლიკის ჩაის ფაბრიკებში გასაგზავნად.

ფოტო ვ. ზარიძისა.

მრეწველობაში და ტრანსპორტზე

✪ **ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი** ქარხნის კოლექტივმა, როგორც შეფმა, ქუთაისის მტს-სა და მაიაკოვსკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას გაუგზავნა ელექტროდები, კბილანები, მისაბმელი ინვენტარის ნაწილები, ქვანახშირი და ლითონი. ასევე მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს საშეფო კოლმეურნეობებს ლიტოპონის ქარხნისა და მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხნის კოლექტივებმა. **(საკ. კორ.).**

✪ **მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებსაგრეხი ფაბრიკის** კოლექტივმა აბრეშუმის ძაფის ამოღებისა და გრეხის 2,5 თვის დავალება ვადამდე დიდი გადამეტებით შეასრულა. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია.

✪ **ხაშურში შედგა რკინიგზელი** რაციონალიზატორების თათბირი, რომელმაც დასახა ღონისძიებები რაციონალიზატორული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მისაღწევად, რკინიგზის ტრანსპორტის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულების გასაადვილებლად. **(საკ. კორ.).**

✪ **ტყიბულქვანახშირის ტრესტის მრავალმა** ინჟინერმა და ტექნიკოსმა სურვილი გამოთქვა სამმართველო აპარატიდან სამუშაოდ გადავიდეს შახტებში. ამ საქმეში სხვებს მაგალითი მისცეს ინჟინრებმა პ. კალაძემ, რომელიც მოლოტოვის სახელობის შახტში მთავარი ინჟინრის მოადგილედ გადავიდა, და ა. წერეთელმა, რომელიც სტალინის სახელობის შახტში ვენტილაციის უბანს განაგებს. მათს მაგალითს მიბაძეს ინჟინრებმა გ. ჩიქობავამ, ლ. გოქსაძემ და მრავალმა სხვამ.

გაზეთების ფურცლებზე

ძმური მეგობრობის ნიშნები

ქართველი ხალხისა და სომეხი ხალხის ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობა, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს, დღითიდღე ფართოვდება და მტკიცდება. ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ ბოლო ხანებში დამკვიდრებული შესანიშნავი ტრადიცია — მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების მასალების გაცვლა-გამოცვლა. მაგალითად, გასულ წელს ავეკისტოში გამოვიდა ჟურნალების „მნათობის" და „სოვეტაკან გრაკანუთიუნ ევ არვესტის" („საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება") შემცველი ნომრები, ხოლო „ლიტერატურულმა გაზეთმა" 22-ე ნომერი მთლიანად მიუძღვნა სომხეთის ლიტერატურასა და ხელოვნებას.

განაგრძობს რა დამკვიდრებულ ტრადიციებს, სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანომ **„გრაკან თერთმა"** („ლიტერატურული გაზეთი") მიმდინარე წლის 25 თებერვლის მთელი ნომერი მიუძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 33-ე წლისთავს.

გაზეთის პირველ გვერდზე ქართულ და სომხურ ენებზე დიდი ასოებით წარწერილია: „მხურვალე სალამი მოძმე ქართველ ხალხს!"

მოწინავე სტატიის გვერდით გაზეთში დაბეჭდილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. მ. ჩუბინიძის სტატია, რომელიც მოგვითხრობს განვლილი 33 წლის მანძილზე ქართველი ხალხის მიერ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში მოპოვებულ დიდ წარმატებებზე.

ქართველ მწერლებს და მათი სახით მთელ ქართველ ხალხს ეროვნული დღესასწაულის გამო გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით მიმართავს „გრაკან თერთში" მოთავსებული წერილით სომხეთის მხოვანი პოეტი სტალინური პრემიის ლაურეატი ავეტიქ ისაკიანი. პირველ გვერდზე დაბეჭდილია აგრეთვე შ. დადიანის და ი. გრიშაშვილის წერილები, გ. ლეონიძის ლექსი „სომხეთს" და ი. ნონეშვილის „ოჯახი, დროშა, ჰეშმარიტება" (ლექსების ციკლიდან „სომხეთში").

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ზრდა-განვითარების შესახებ მოგვითხრობს თავის ვრცელ წერილში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი ი. აბაშიძე.

გაზეთში დაბეჭდილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის წერილი რესპუბლიკის მეცნიერთა მიღწევების შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში საქართველოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის აღორძინებისა და გაფურჩქვნის შესახებ მოგვითხრობენ გაზეთის ფურცლებზე სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები შ. მშველიძე, ვ. თოფურიძე.

რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის, ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოების შესახებ წერს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. მაღრაძე.

„გრაკან თერთი" ბეჭდავს ა. ბელიაშვილის ნარკვევს „რუსთაველ", თ. გოგოლაძის მოთხრობას „საჩუქარი" და პოეტების ს. ჩიქოვანის და ხ. ბერულავას ლექსებს.

გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატის ი. ჭაბაშვილის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის პ. სვანიძის, წევის ინჟინერ-მაიორ ს. ტერ-ჰოვანესიანის, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძის, საბჭოთა კავშირის გმირის არქიტექტურის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ციციშვილის, მწერალ ა. ჭეიშვილის, პროფესორ ა. ბარამიძის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ შ. ამირანაშვილის წერილები.

„გრაკან თერთის" ეს ნაბიჯი უდავოდ შეუწყობს ხელს საქართველოსა და სომხეთის მშრომელთა ძმური მეგობრობისა და ურთიერთობის უფრო გაღრმავებას, სომეხი და ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედებით დაახლოების და მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

პროპაგანდისტის მოხსენება პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროზე

ფოთი. **(საკ. კორ.).** პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს განიხილა ნავსადგურის პირველადს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული სკკპ ისტორიის შემსწავლელი წრის (სწავლების პირველი წელი) პროპაგანდისტის ქ. გუჯაბიძის მუშაობის საკითხი.

აღინიშნა, რომ ამხ. გუჯაბიძე უნარიანად იყენებს წლების მანძილზე შეძენილ პროპაგანდისტული მუშაობის გამოცდილებას. მეცადინეობა ეწყობა ცოცხალი საუბრის მეთოდით, ფართოდ არის გამოყენებული თვალსაჩინოება. ამასთან ბიუროს აღნიშნა, რომ პროპაგანდისტის მუშაობას აქვს ნაკლოვანებანიც. საუბრის დროს იგი ნაკლებად იყენებს მხატვრულ ლიტერატურას, საკმაოდ არ ნერგავს მსმენელთა მიერ რეფერატების მომზადებისა და წაკითხვის პრაქტიკას.

ბიუროს დასახა ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ერთ კრებაზე...

ვალენტინ ოვეჩკინი

კულტურის სახლში რაიონული პარტიული აქტივის კრება მიმდინარეობდა.

მოხსენება საოლქო კომიტეტის ამსწავლელი პლენუმის შესახებ გააკეთა რაიაღმასკომის თავმჯდომარემ რუდენკომ: რაიკომის პირველი მდივანი მარტინოვი გაცვეთული და ხმაჩახლეჩილი იყო, ყელზე თბილი ყელსახვევი ჰქონდა შემოხვეული და ხმამაღლა ლაპარაკი არ შეეძლო, ხოლო მეორე მდივანი — მედვედევი შვებულებაში იყო.

კაცმა რომ თქვას, მოხსენება რუდენკომ კი არ „გააკეთა", არამედ წაიკითხა, ხოლო წაკითხვა შეეძლოთ მიენდოთ ვისთვისაც უნდოდათ, ტექნიკური მდივნისთვისაც კი, ოღონდ წამკითხველს კარგი ხმა ჰქონოდა. ისიც შეიძლებოდა, რომ დროის ეკონომიისათვის სულაც არ წაეკითხათ — წინასწარ დაებეჭდათ მოხსენება ასიოდე ცალად და დაეგზავნათ ყველასათვის, ვინც კრებაზე იყო მოწვეული.

საოლქო კომიტეტის პლენუმმა ორი საკითხი განიხილა: კოლმეურნეობებში მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ და მეცხოველეობის აღმავლობისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ. რუდენკო კრებას სწორედ პლენუმის გადაწყვეტილებებზე მოახსენებდა. საათახანგარის კითხულობდა, მონოტონურად. ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია რაიკომისა და რაიაღმასკომის მუშაკების მიერ მომზადებული ტექსტის კითხვა, ერთხელაც არ აუწევია თავი, არ გაუხედნია დარბაზისაკენ. დარბაზში, ოცამდე ადამიანი, ზოგი მეზობელს ეჩურჩულობდა, ზოგი უკანა რიგებში ჩუმჩუმად თამბაქოს სწევდა.

მარტინოვი გაბრაზებული იჯდა პრეზიდიუმში, ნერვიულად ატრიალებდა ხელში ფანქარს და უბღვერიოდა რუდენკოს.

შეკითხვები მომხსენებლისათვის არ მიუციათ. კამათში მხოლოდ ორი ჩაეწერა.

პირველი გამოვიდა რაიკომის ინსტრუქტორი ნიკოლენკო. რეგლამენტით დაწესებული ათიე წუთის განმავლობაში მან ილაპარაკა თავისი ზონის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე: აქა და აქ სამ-სამ თვეს არ იმართება კრებები, აქა და აქ შემოეფანტათ აგიტატორები, აქა და აქ კედლის გაზეთს არ უშვებენ, აქა და აქ კომუნისტები საეკლესიო ღღესასწაულებში ქეიფობენ. თითქოს მხოლოდ ეს შეადგენდა მის მოვალეობას: ეფლო კოლმეურნეობიდან კოლმეურნეობაში და გულმოდგინედ აღერიცხა ყველა „ნაკლოვანება", „სიგნალი მიეცა" მათ შესახებ რაიკომის ბიუროს წევრებისათვის. მისმა სიტყვამ კარგ გუნებაზე ვერ დააყენა მარტინოვი.

— ეს ვინ ბრძანა? — ეკითხებოდა ერთმანეთს ბიუროს წევრი. — ეს ბიუროს ინსტრუქტორია, ეს ბიუროს ინსტრუქტორია... ეს ბიუროს ინსტრუქტორია... ეს ბიუროს ინსტრუქტორია...

ბოლოს ფეიერკლები აირია, ტექსტი შეეშალა, დაიბნა, რაღაც წინადადება აღარ დაასრულა და ძირს ჩამოვიდა.

პრეზიდიუმში სირცხვილისა და უხერხულობისაგან ყველა თავჩაღუნული იჯდა.

მარტინოვი ადგა, რომ შესვენება გამოეცხადებინა.

— კოლმეურნეობა „დრუჟბას" პარტორგანიზაციის მდივანი აქ არის? — იკითხა მან ხრინწიანი ხმით.

— აქა ვარ, — უკანა რიგებში ადგა კაცი, რომელსაც ოფიცრის უსამხრეებო მაზარა ეცვა.

— ამხანაგო მოსტოვოი, შენ შეუდგინე მას სიტყვა?

— მე... კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ერთად.

— კარგად გიზრომიათ!.. ვინჩაროვ საუკეთესო მეცხოველეა რაიონში, ფერმა სანიმუშო გახადა, ამისათვის ეყო ურარი, ხოლო აქ რომ გამოსულიყო და ეამბნა ჩვენთვის თავისი მუშაობის შესახებ ისე, რომ თქვენი შპარგალკები არა ჰქონოდა — შეგეშინდათ, უნარი არ ეყოფაო?.. ნუ შეგრცხვება, ამხანაგო გონჩაროვა, ცუდად რომ გამოხვედი. ეს შენი სირცხვილი კი არა, ჩვენი სირცხვილია... ვიდრე შესვენებას გამოვაცხადებდე, აი რა მინდა გითხრათ, ამხანაგებო. — მარტინოვმა ცერად გადახედა საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორს, რომელიც პრეზიდიუმში იჯდა, რადგან წინასწარ გრძნობდა, რომ მასთან შეხლა-შემოხლა მოუხდებოდა. მარტინოვს ამ ინსტრუქტორ გოლუბკოვთან, რომელიც ხშირად ჩამოდიოდა რაიონში, დიდი ხანია უთანხმოება ჰქონდა. — მოდით ასე შევთანხმდეთ: ვისაც ნამდვილად სათქმელი არაფერი აქვს, — ჯობს ნუ გამოვა აქ, ნუ წაგვართმევს დროს ნურც თავის თავსა და ნურც ჩვენ. ჩვენ არა გვჭირდება აქტივობა ანგარიშგებისათვის: „კრებაზე გამოვდგა ამდენი ბრიგადირი". ხოლო რაზეა ლაპარაკი, რისთვის არის ლაპარაკი, არავინ უწყის. აი ნიკოლენკომ აქ გაიმეორა მოხსენებითი ბარათი, რომელიც ჩვენ უკვე სამი დღის წინ წავიკითხეთ. პარტაქტივი იკრიბება საკითხების საქმიანი განხილვისათვის და არა იმიტომ, რომ წარმოოთქვას სიტყვები. ცხადდება შესვენება თხუთმეტი წუთით.

დარბაზში მყოფნი, შეფიქრიანებულნი, თამბაქოს მოსაწევად გასვლას არ ჩქარობდნენ.

გოლუბკოვმა მარტინოვი სცენაზე შეაჩერა და უთხრა:

— რა დაგემართა, პიოტრ ილარიონოვიჩ, უქეიფოდ ხარ? სიცხე გაქვს? წასულიყავი შინ, ლოგინში ჩაწოლილიყავი. აქ ბიუროს წევრები არიან, უშენოდ ჩავატარებთ. გინდა პარტაქტივი ჩაშალო? „გამოსვლა თუ არ იცით — ნუ გამოხვალთო".

— ასე ხომ არ მითქვამს, ამხანაგო გოლუბკოვ!

— პროფესორებთან ხომ არა გაქვს საქმე? აქ, დარბაზში, ნახევარი კოლმეურნეები არიან. რათ აშინებ? ეს გონჩაროვა ხომ მცირემცოდნეა! მას დახმარება სჭირდება!

— მე ესა ვთქვი არა მცირემცოდნეებისათვის, — უთხრა მარტინოვმა. — ძალიან კარგი მცოდნეებისათვის: იმათთვის, ვისაც ენაზე უკვე კორძები ამოუვიდა, ასეთ კრებებზე!

— გაუგებარია, — გოლუბკოვმა მხრები აიჩეჩა. — არ ვიცი, რა გამოვა თქვენი პარტაქტივიდან. შესვენების შემდეგ რუდენკოს მაშინვე არ მოუხდეს საბოლოო სიტყვის თქმა.

— შეიძლება მოუხდეს კიდეც... შენთვის, ნიკოლაი არხიპოვიჩ, ეს, რა თქმა უნდა, დიდი უსიამოვნებაა. განსაკუთრებული მოვლენა იქნება შენს ზონაში! პარტაქტივის კრება ჩაიშალა! გამოვიდა მხოლოდ ორი კაცი. როგორ უნდა მოახსენო საოლქო კომიტეტს? მით უმეტეს, რომ პირადად ესწრება.

— ვფიქრობ, რომ შენთვისაც არ არის ეს დიდად სასიამოვნო.

მათთან მივიდა რუდენკო. მარტინოვმა უთხრა:

— ეშმაკსაც წაუღიხართ თამბაქოს მავნეობის შესახებ ლექციების ასეთი წამკითხველები!

— პიოტრ ილარიონოვიჩ! — რუდენკომ მას მხარზე ხელი დაადო. — სადა მქონდა დრო, რომ მოვმზადებულიყავი!

— ხუთი წელია რაიონში მუშაობ. ხალხს იცნობ. ადამიანებთან ლაპარაკი შეგიძლია. საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილება კი გიმეორებს, ამის წაკითხვა ხომ უშენოდაც ყველამ მოასწრო! საკუთარი აზრი კი — არც ერთი არ გითქვამს... როგორიც მოხსენება იყო, კამათიც ისეთია!

— ჩემი ენამჭევრობა ამოიწურა. მეხუთე დღეა სხდომები გვაქვს! მეგონა მოხსენებას შენ გააკეთებდი, შენ კი ავად გახდი.

შესვენების შემდეგ, მარტინოვის გაფრთხილების მიუხედავად, პირველი გამოვიდა სწორედ ასეთი ენაკორძიანი ორატორი — რაიაღმასკომის სასოფლო მშენებლობის განყოფილების გამგე კორობკინი. რაიონში არც ერთი კრება არ გაიმართებოდა, რომ კორობკინს მგზნებარე სიტყვა არ წარმოეთქვა.

აყლაყუდა, შუბლმაღალი (დაწყებული მელოტის გამო) კორობკინი, რომელსაც შავი დრაპის პალტო ეცვა, მრისხანედ იქნევდა ხელებს და თვითეული ფრაზას ისე გაჰყვიროდა, როგორც ლოზუნგს მოედანზე მრავალი ათასი კაცის წინაშე. მისი ხმისაგან ჭაღის შუშები წკრიალებდა ჭერქვეშ.

„ამხანაგებო! საკვები მეცხოველეობის საფუძველია! მაგრამ ზოგიერთ ამხანაგს ჯიუტად არა სურს შეიგნოს ეს, მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების დანაშაულებრივ შეუფასებლობას იჩენს!.."

„ხარი, ამხანაგებო, მუშა გამწეები ძალაა! გამწევ ძალას უნდა გავუფრთხილდეთ!.."

„ღორი, ამხანაგებო, გვაძლევს ხორცს, ქონს, ტყავს, ჯაგარს! ღორი მეტად სასარგებლო ცხოველია! ჩვენ კი როგორ ვეკიდებით ღორს?"

„მეცხოველეობას, ამხანაგებო, ესაჭიროება თბილი, კეთილმოწყობილი სადგომები. ძროხა, ამხანაგებო, სითბოში და სისუფთავეში მეტ რძეს იძლევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებით შეასრულოთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები

ენისლელი მექანიზატორები ცუდად მუშაობენ

სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა ყვარლის რაიონში სამართლიანად ითვლება მოწინავედ. შარშან აქ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის დავალება გადამეტებით შესასრულეს.

შილდელებმა მიმდინარე წლის მოსავლიანობის გასადიდებლად უფრო ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღეს. საგაზაფხულო კულტურების დასათესად საჭირო 400 ჰექტარი მზრალად მოხნულია. 50 ჰექტარზე შვრია დათესეს და მზესუმზირას თესვაც დაამთავრეს. მდინარე ჩელთის მარცხენა ნაპირზე ასეულობით ჰექტარი საშემოდგომო ხორბლის ჯეჯილი ბიბინებს. საგულდაგულოდ მოწყობილ სათბურებში პამიდორისა და კომბოსტოს ჩითილი ამოვიდა. ბოსტნეულის მოსავლიანობის გადიდების მიზნით სამი ათასი ნეშომპალის ქოთანი დაამზადეს.

შილდის კოლმეურნეობას ენისლის მტს-ის მექანიზატორები უწევენ მომსახურებას. მაგრამ ენისლის მტს-ის მომსახურებაში მარტო შილდა არ შედის. სხვა კოლმეურნეობები სამარცხვინოდ ჩამორჩნენ. ამის მიზეზი ენისლის მტს-ის ხელმძღვანელობის ცუდი მუშაობაა. მტს-ის დირექტორმა ამხ. ე. ლომაურმა რიხით განაცხადა: „ტრაქტორების რემონტის გეგმა გადამეტებით შევასრულეთო“. ეს განცხადება უსაფუძვლოა. რემონტს დამთავრებულად თვლიან, მაშინ როცა „ს-80“ მარკის ტრაქტორი სახელოსნოში დაშლილი აწყვია. ის რომ დროულად შეეკეთებინათ, პლანტაჟისა და ამოძირკვის სამუშაოები აღარ ჩამორჩებოდა. სახელოსნოში დაშლილია აგრეთვე „სტზ-ნატის“ მარკის ტრაქტორი. ტრაქტორისტი ვალერიან მამაჯულაშვილი გულზე ხელებდაკრეფილი დასცქერის მას ნაწილების მოლოდინში.

გაზაფხულზე მტს-მა 500 ჰექტარი უნდა დათესოს კვადრატულ-ბუდობრივად, მაგრამ ამ საქმეს დღემდე არ შესდგომიან. კვადრატულ-ბუდობრივად სათესი 4 მანქანიდან ძხოლოდ ორია გამზადებული, მათგან ერთს გამომთესი მექანიზმის კბილანები აკლია.

მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა. 1.022 ჰექტარიდან სამას ჰექტარზე მეტი არ მოუხნავთ. საგაზაფხულო კულტურები 1.755 ჰექტარი უნდა დათესონ. ფაქტიურად დათესილია 200 ჰექტარი. მზესუმზირა დასათესია 50 ჰექტარი, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები 300 ჰექტარიდან დათესილია მხოლოდ 20 ჰექტარი და სხვ.

ცუდად მუშაობენ ენისლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ბზობიძე), რომელმაც შარშან იმის გამო, რომ დროზე ვერ განახორციელა აგროტექნიკური ღონისძიებანი, ვერც ერთი კულტურის მოსავლიანობის დავალება ვერ შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 303 ჰექტარიდან აქ 40 ჰექტარზე მეტი არ დაუთესავთ. ერთწლიანი ბალახების თესვის დავალება შესრულებული აქვთ მხოლოდ 50 პროცენტით, მზესუმზირას და ბოსტნეულის თესვას კი უფრო მეტად აგვიანებენ.

ამ მხრივ არც ყვარლის მტს-ის მომსახურების მთელ რიგ კოლმეურნეობებშია უკეთესი მდგომარეობა. ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ს. ბუჯიაშვილი) 40 ცენტნერი შვრიის თესლი აკლია. 39 ცენტნერი ლობიოს თესლიდან, რაც დასათესად სჭირდებათ, აქვთ მხოლოდ 2 ცენტნერი და ისიც გაუწმენდავი. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ნ. ახაშვილი) საკმარისად არა აქვს შვრიის, ლობიოსა და ბაღჩეულის თესლი.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ს. ძოწილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ბოსტნეულის უხვი მოსავლისათვის

ოჩამჩირის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში დღითიდღე აძლიერებენ მუშაობას ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად. სოფელ ილორის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობის მებოსტნეობის ბრიგადამ, რომელსაც მ. კვარაცხელია ხელმძღვანელობს, სანიმუშოდ მოაწყო 400 ცალი კვალსათბურის ჩარჩო ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურათა ჩითილის გამოსაყვანად. აქედან 150 ჩარჩოში უკვე გამოყვანილია პამიდორის, კომბოსტოს, კიტრის ჩითილი.

ბრიგადამ დაამზადა 18.000 ცალი ტორფნეშომპალის ქოთანი. დამატებით მზადდება კიდევ რამდენიმე ათასი ცალი ასეთი ქოთანი, რაც მთლიანად დააკმაყოფილებს კოლმეურნეობის მოთხოვნილებას.

წარმატებით მიმდინარეობს საბოსტნე ნიადაგის დამუშავება და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ჩითილის რგვა სოფელ აძიუბჟის სტალინის სახელობის, სოფელ ტამიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებსა და სოფელ ბესლახუბის კოლმეურნეობა „შრომაში“.

არის ნაკლოვანებანიც. სამუშაოებში საგრძნობლად ჩამორჩნენ სოფელ ტყვარჩელის ლენინის სახელობის და სტალინის სახელობის კოლმეურნეობები, სადაც ტორფნეშომპალის ქოთნების დამზადება, საბოსტნე ნიადაგის მომზადება და სხვა სამუშაოები მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ვ. დოხნაძე.

ახი ჰექტარი ახალი მიწა

ᲣᲥᲐᲠᲔᲚᲘ. (სპეც. კორ.). კუდიგორის მთის კალთებთან, იქ, სადაც ცნობილი ქინძმარაულის ვენახებია გაშენებული, განუწყვეტლივ გუგუნებს მძლავრი მუხლუხებიანი ტრაქტორი. ტრაქტორისტი რ. თევდორაშვილი უკვე ერთი თვეა მუშაობს „ყელის ბარდების“ ყამირი მიწის ათვისებაზე. მან 30 ჰექტარზე მეტი ფართობი ამოძირკვა. ამ ადგილებში 100 ჰექტარი ახალი მიწა შეემატება ყვარლის კოლმეურნეობა „კუდიგორას“.

გაზაფხულზე ახალ ფართობში 15 ჰექტარი ვაზი გაშენდება, ხოლო მომავალ წლებში წინანდელ ჯაგნარს ქინძმარაულის ვენახები დაიკავებენ. ცნობილი მევენახეები ი. ქოჩორაშვილი, ტ. ტუბაშვილი და სხვები აქტიურად მონაწილეობენ ახალი მიწების ათვისებაში.

სურათზე: ხეების ამოძირკვა „ყელის ბარდების“ ნაკვეთზე.

ფოტო ვ. ზარიძისა.

გამსვლელი სამეცნიერო სესია

ამას წინათ თელავში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი საბჭოს გამსვლელი სამეცნიერო სესია.

სესია მიეძღვნა მდინარეების ალაზნისა და ივრის აუზში მდებარე რაიონებსა და თუშეთში სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილებათა საფუძველზე.

სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდი როლი ეკუთვნის მეცნიერებას. იმ მიზნით, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული დადგენილებისა და პარტიის და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებათა, აგრეთვე საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესრულებაში, რომლებიც სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლის გაშლილ პროგრამას წარმოადგენენ, საქართველოს მეცნიერებმა გადასინჯეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თავიანთი გეგმები, შეიმუშავეს ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ გაფართოვდეს მეცნიერების კავშირი საკოლმეურნეო წარმოებასთან.

გამსვლელი სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 300-მდე კაცმა. აქ იყვნენ სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავენი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკები.

სესიაზე მოსმენილ იქნა შვიდი მოხსენება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარების აქტუალურ საკითხებზე — სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებისა და კულტურების ტერიტორიული განლაგების, მეცხოველეობის, მევენახეობის, მარცვლეული მეურნეობის, მეთამბაქოობის, მეაბრეშუმეობის განვითარების გზების შესახებ, კოლმეურნეობებში თესლბრუნვის შემოღების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის საკითხებზე და სხვ.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა კაცმა.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგე ამხ. ვ. მელქაძე.

გამსვლელმა სამეცნიერო სესიამ ერთხელ კიდევ დაადასტურა მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო კავშირის აუცილებლობა.

შ. არჩვაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი საბჭოს სწავლული მდივანი.

წერილები რედაქციას

სახელოსნო სასწავლებელთა მოსწავლეები მეტ ყურადღებას მოითხოვენ

ქართულ მწერლობას თავისი შემოქმედებითი მუშაობის მეტად საინტერესო და, შეიძლება ითქვას, ჩვენი ლიტერატორების მიერ ხელუხლები ასპარეზი ელის. ეს ასპარეზია სახელოსნო სასწავლებლების ცხოვრება, მოსწავლეთა მუშაობა და ყოველდღიური საქმიანობა იმისათვის, რომ ისწავლონ, დაეუფლონ ახალ ტექნიკას და წინ წასწიონ იგი.

გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ ამ მხრივ ქართველი მწერლების მუშაობა ვერ გვაკმაყოფილებს. არც ერთი ღირსშესანიშნავი და დასამახსოვრებელი მოთხრობა, ნარკვევი და სხვა ლიტერატურული ნაწარმოები ჩვენს მწერლებს არ შეუქმნიათ სახელოსნო სასწავლებლების მუშაობის თემაზე. ამავე დროს მწერალი და ჟურნალისტი აქ მეტად საინტერესო მასალას იპოვნის, თუ დროს არ დაიშურებს და შრომას არ დაიზარებს.

ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს მწერალთა კავშირისაგან, ახალგაზრდული გაზეთებისა და ლიტერატურული გამომცემლობისაგან მეტ ყურადღებას.

მ. თოიძის სახელობის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეები:
კ. ხანიაშვილი, ვ. ნეფარიძე, მ. მიქაძე, ვ. ყალაბეგაშვილი, ა. ყავრიშვილი.

რაზომ არ არის ავტომობილისტის სახელმძღვანელო წიგნი?

ჩვენი რესპუბლიკის გამომცემლობები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ტექნიკური ლიტერატურის გამოცემას. ჩვენ ვერ შეეძელით შეგვეძინა სახელმძღვანელო წიგნი ავტომობილის შესახებ. წინათ გამოუცია ორიოდე სახელწოდების წიგნი ქართულ ენაზე, მაგრამ მათი ტირაჟი გასაღდა და ასეთი წიგნი ახლა არსად არ იყიდება.

ავტომობილისტებისათვის სახელმძღვანელო წიგნი კი ქართულ ენაზე მეტად საჭიროა. ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიიღონ გამომცემლობებმა და დაარჩარონ ახალი წიგნების გამოშვება ავტომძღოლთათვის.

კ. მგალობლიშვილი,
ავტომძღოლი.
დ. პაპუნაშვილი,
ტრაქტორისტი.

დავეკმაყოფილოთ სოფლის მშრომელთა საჭიროებანი

სტალინირის რაიონის სოფელ გუჯაბაურში მრავალი ასეული მცხოვრებია. ბევრი მათგანი ყოველდღე მოდის სტალინირში: საწარმოებში, სასწავლებლებში... ადამიანებს გრძელი გზის ფეხით გავლა უხდებათ. უკანასკნელ ხანებში სტალინირში მუშაობა დაიწყეს ავტობუსებმა, რომელთა მარშრუტის გაგრძელება სავსებით შესაძლებელია გუჯაბაურამდე. ამ საქმის მოგვარებით სოფლის მშრომელები დიდ დროსა და ენერგიას დაზოგავენ. ეს ხელსაყრელია ქალაქის ტრანსპორტისთვისაც, რომელიც სრული დატვირთვით ვერ მუშაობს.

სოფელს დღემდე არა აქვს ელექტროშუქი. გუჯაბაურელებს სურთ თავიანთ სოფელში ჰქონდეთ მაღაზია, სადაც შეიძენენ პირველი მოხმარების საგნებს. მაგრამ მათ სურვილს არ ეხმაურებიან.

სოფლის მშრომელებს ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

ი. შერაზადიშვილი,
სტალინირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის თეატრის მსახიობი.

როდის შეაკეთებენ რადიოხაზს?

რამდენიმე წლის წინათ დედაქალაქიდან გარეუბნის რაიონის სოფელ კოჯორში გამოიყვანეს რადიოხაზი. სოფლის ცენტრში და მცხოვრებთა სახლებში ახმიანდა რადიო. ახალი ამბების ყოველდღე მოსმენა მცხოვრებთა კმაყოფილებას იწვევდა.

მაგრამ რამდენიმე ხანია ხაზი დაზიანებულია, რადიო დუმს. მრავალჯერ მოვითხოვეთ ხაზის შეკეთება, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. მიუხედავად იმისა, რომ რადიო არ მუშაობს, ადგილობრივი ფოსტის თანამშრომლები შესატან თანხას მოითხოვენ.

საინტერესოა, როდის შეაკეთებენ რადიოხაზს კოჯორში?

აბონენტები: ლ. ძვრივიშვილი, ნ. ილგატოვი, ლ. გოგოლიძე, რ. არეშიძე.

გამოუძვღენელი წერილების კვალდაკვალ

⊙ ქალაქ ჭიათურიდან მუშკორი ზ. ზამბახიძე რედაქციას სწერდა მაღაროელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. მარგანეცის ტრესტის ვორიშილოვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს № 4 საერთო საცხოვრებლის წყალსადენი დაზიანებული იყო, არ მუშაობდა აბანო და სხვ.

როგორც საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. შ. ხიდაშელი გვატყობინებს, მუშკორის კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. სათანადო ზომების მიღების შედეგად შეკეთებულ იქნა წყალსადენი და აბანო. მაღაროელთა კანონიერი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ვსხედვართ და ვფიქრობთ: ჩვენ ვინღა აგვინაზღაურებს დროს? აქ ხუთასი კაცი ზის — რამდენი დრო დაგვაკარგვინა! ეს დრო კაც-საათებზე უნდა დადაყვანონ! შოფრებს უტვირთოდ გადარჩენისათვის ძალიცა აჯარიმებს. იქ ტონაჟლომატრებია, აქ კი — კაც-საათები. ესეც ცალკე ღირებულებას როდი შეადგენს! დამჯარიმებელიც არავინა ჰყავთ დროის ამ გამნიავებლებს!..

ოპიონკინი მოწონების სიცილით და ტაშით გაიცილეს ტრიბუნიდან.

თითქმის ყველა, ვინც კი ოპიონკინს შემდეგ გამოვიდა, — ხოლო გამოვიდა კიდევ ათიოდე კაცი, ისე რომ „ციფრობრივი მაჩვენებლებით“ პარტაქტივის კრებამ „სათანადო დონეზე“ ჩაიარა, — თითქმის ყველა ლაპარაკობდა იმაზე, რა მავნე გავლენას ახდენს მუშაობაზე სხდომების სიმრავლე, ხანგრძლივი კამათი, ისეთი საკითხების განხილვა ჩაკეტილ კარში, რომელთა გადაჭრა უნდა ხდებოდეს ხალხთან ერთად.

რაიონული გაზეთის რედაქტორი პოსოხოვი, რომელიც ოჯდა პრეზიდიუმში მარტინოვის უკან, გადმოიხარა მისკენ და ღიმილით უთხრა:

— რა საშინელია ინერციის ძალა, პიოტრ ილარიონოვიჩ! ხედავ, შენ მიეცი სალაპარაკო თემა: ფუჭსიტყვაობის მავნეობის შესახებ, და: უკვე მერამდენე კაცი ამაზე ორატორობს, ერთძანეთის სიტყვას იმეორებს!.. „კიდევ ერთი სხდომა ყველა სხდომის აღმოფხვრის შესახებ!“

კომკავშირის რაიკომის მდივანმა რიეკოვმა თქვა:

— ძველათ სპარტაში სიმამაცედ სთვლიდნენ, თუ ადამიანი შეძლებდა ორი-სამი სიტყვით გამოეთქვა ის, რასაც სხვა ერთ საათში ვერ მოათავებდა. ხომ არ აღვადგინოთ ეს სპარტული ტრადიციები?

დარბაზში გაისმა რეპლიკა:

— თვითონ შენ კი რეგლამენტი არ გეყო, მეცამეტე წუთია ლაპარაკობ!

გამოვიდა კოლმეურნეობა „მეგობრობის“ პარტორგანიზაციის მდივანი მოსტოვოი, რომელმაც სიტყვა შეუდგინა მეღორეობის ფერმის გამგეს გოხჩაროვას, და დასაბუთებულად, ფაქტების მოყვანით გააკრიტიკა რაიკომის აპარატის მუშაები ხელმძღვანელობის კანცელარიული მეთოდებისათვის.

— ჩამოდის ჩვენთან პირველადს ორგანიზაციაში რაიკომის ინსტრუქტორი. რას ამოწმებს იგი, რა აინტერესებს? როდის ჩავატარეთ პარტიული კრებები, რა საკითხები განვიხილეთ. კვლავ გვეკითხება — რამდენი კაცი გამოვიდა კამათში, საკმაო თუ არა აქტივობა. გადაწყვეტილებას წაიკითხავს, შეცდომებით ხომ არ არის დაწერილი. მუშაობის გეგმას მოიკითხავს — რა საუბრებია ბრიგადებში გათვალისწინებული, ვატარებთ თუ არა მათ. ხოლო რა შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში ამ კრებების შემდეგ — ეს მას არ აინტერესებს! აი ამა და ამ ბრიგადაში ჩაატარეს საუბარი პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ. მაგრამ ამის შემდეგ როგორ მიდის იქ საქმე? უკეთ დაიწყეს კოლმეურნეებმა მუშაობა? იქნებ ახალი სტახანოველები გამოჩნდნენ ამ ბრიგადაში? იქნებ შეეჯიბრება გაჩაღდა? ხოლო თუ არავითარი ძვრა არ არის, — მაშ როგორ ჩაგიტარებიათ, ამხანაგებო, საუბრები? მაშასადამე, რაღაც ვერ გაგიგებინებიათ ხალხისათვის! აბა წავიდეთ ერთად, ერთხელ კიდევ ველაპარაკოთ ხალხს, მეც დაგეხმარებით! ასე კარგი იქნებოდა. მაგრამ ჩვენში ასე როდი ხდება. მარტო ქაღალდებია, ქაღალდები!.. როგორც იტყვიან ხოლმე: შეგიძლია მუშაობა არც იცოდე, ანგარიში კი კარგად უნდა ჩააბარო, ქაღალდზე დაწერილი, და ყველაფერი რიგზე იქნებაო. თვითონ თქვენ, ამხანაგო რაიკომის მუშაკებო, გვაჩვენეთ ამას! თქვენ კი, ამხანაგო მარტინოვ, როგორც ჩანს, სრულებით არ მუშაობთ თქვენს ინსტრუქტორებთან. მათი გვერდის ავლით უკავშირდებით კოლმეურნეობებს. გსურთ, რომ კოლმეურნეობებში ყველაფერი რიგზე იყოს, საკუთარ აპარატში კი დღემდე ვერ დაგიმყარებიათ წესრიგი! თქვენს ცხვირწინ, თვით რაიკომში — ბიუროკრატიზმიც არის, კანცელარიულობაც, ყოველივე ის, რისთვისაც ჩვენ გვლანძღავთ!...

მარტინოვმა კეფა მოიქექა. რაც სწორია, სწორია. იმაზე, რაც ყველაზე უფრო ახლოა, როგორღაც ხელი ვერ მიუწვდა. ერთხელაც არ შეუკრებია ინსტრუქტორები, გულახდილად არ უსაუბრია მათთან, პრაქტიკულად არ უსწავლია პარტიული მუშაობის ცოცხალი მეთოდები. რაიკომის აპარატის მუშაკებისადმი მდივნების დამოკიდებულება ისევ ძველი დარჩა — როგორც ჩვეულებრივი „რწმუნებულებისადმი“, რომელთა გაგზავნა კოლმეურნეობებში ყველაზე ადვილია და მოსახერხებელი, რადგან ისინი ყოველთვის ახლოს ტრიალებენ...

ერთხელ კიდევ გამოვიდა, უკვე უშპარგალკად, გონჩაროვა. ქალმა აზრები მოიკრიბა და მარტივად და საინტერესოდ უამბო დამსწრეთ, რის მეოხებით გახდა მათი ფერმა სანიმუშო. ილაპარაკა, როგორ გადაიტანეს სოფლიდან ფერმის ყველა მუშაკის სახლები და იქ, ათი კილომეტრის დაშორებით, როგორ შეიქმნა ახალი დაბა. კოლმეურნეები დამკვიდრდნენ იქ, გააშენეს ბაღები, ფართო ეზოებში ბლომად ჰყავთ ფრინველი, და უკანასკნელ წლებში მეღორე ქალებიდან ერთიც არ წასულა ფერმიდან. ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიაღწია, — კოლმეურნეობის გამეობაში ჩხუბითაც კი. — იმას, რომ მათი ხუტორიდან მოსწავლეები, მეღორე ქალების შვილები, ახლა ყოველდღე მარხილებით დაჰყავთ სოფელში, სკოლაში. თქვა, რომ ვინაიდან პასუხისმგებლობას გრძნობდა არა მარტო წარმოებისათვის, არამედ თავისი ბრიგადის კოლმეურნეთა კარგი ცხოვრებისთვისაც, დარაზმა ადამიანები და შარშან ზაფხულში თავისუფალ დროს მათ საკუთარი ძალებით აღადგინეს კაშხალი მდინარეზე, ძველ წისქვილთან და შეფ რკინიგზელთა დახმარებით მოახდინეს ფერმისა და ხუტორის ელექტროფიკაცია. ახლა მათ აქვთ სინათლეც, რადიოც, საკამოობით მუშაობს მოზრდილთა სკოლა, ყველა მეღორე ქალი სწავლობს ზოოტექნიკურ კურსებზე. უამბო დამსწრეთ, რომ ბევრმა მეღორე ქალმა ზამთრის განმავლობაში რიგრიგობით ინახულა ოლქის საუკეთესო კოლმეურნეობები, დათვალიერა, როგორ არის იქ დაყენებული მეცხოველეობის საქმე, და იქიდან გადმოაქვს კარგი გამოცდილება.

— აი ახლა ყველაფერი გავიგეთ, ამხანაგო გონჩაროვა! — თქვა რუდენკომ. — მაშასადამე, საქმე მარტო დეზინფექცია და კულტურული დაგოჯიანება როდი ყოფილა? კაცს ეგონებოდა, რომ მარტო ღორები გაინტერესებს. შენ კი მეღორე ქალებთანაც მუშაობ. აი ეს არის წარმატების საფუძველი!..

მარტინოვი არ გამოსულა ამ კრებაზე. იმიტომ, რომ ხმა ჰქონდა ჩახლეჩილი, როგორმე ალაპარაკებდა ხრინწიანი ხმით. ჩანს, ჯერ კიდევ ვერ მოეფიქრა, რა ეპასუხნა ოპიონკინისა და სხვა კომუნისტებისათვის, რომელთა დღევანდელი ბულახდილი აღელვებული ლაპარაკი თვითონვე გამოიწვია. ასე ადარ შეიძლება კრებების ჩატარება, როგორც დღემდე ატარებდნენ. აბა როგორ?..

გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც რაიკომის აპარატში მოიზადა, წაიკითხა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ეგანოვმა. თითქმის ერთ საათს კითხულობდა.

— ცალახვრის ეშმაკმა! — ილანძღებოდა მარტინოვი, რომელიც მოხრილი ოჯდა და თავი ბელებზე დეიყრდნო. — კრების წინ რატომ არ გადავათვალიერე მათი თხზულება. ძალიან კი გაიწრთვნენ ფუთიანი რეზოლუციების წერაში!..

გადაწყვეტილების პროექტში, ეგრეთწოდებულ „საკოსნტატაციო ნაწილში“ მეასედ იყო აღნიშნული ის, რაც უკვე ითქვა წარსული პლენუმებისა და პარტიული აქტივების გადაწყვეტილებებში; ესა და ეს უბანი ჩამორჩენილია, ესა და ეს სამუშაო უყურადღებოდ არის მიტოვებული. ეს ფურცლები რაიკომის აპარატის მუშაკებს პირდაპირ გადმოწერათ ძველი რეზოლუციებიდან. მაგრამ „დადგენილების ნაწილშიც“ ცოტა იყო ცოცხალი, ახალი სიტყვა. ეს ნაწილიც საეჭვოდ წაადგა რაღაც ისეთს, რაც უკვე ძალიან ბევრჯერ ყოფილა წაკითხული ამ ტრიბუნიდან, ასეთივე კრების წინაშე. იგივე „დაევალოს“, „განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს“, „მთელი ძალები მიმართულ იქნას“, „აყვანილ იქნას ჯეროვან სიმაღლეზე“. პროექტში ლაპარაკი იყო ყველაფერზე, რაზეც კი მუშაობა უხდებოდათ პარტიის რაიკომსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს: რადიოფიკაციაზეც, საკოლმეურნეო თვითმოქმედებაზეც, თვალსაჩინო აგიტაციაზეც, პიონერულ მუშაობაზეც, ბგრისწყალეზეც, სამყურას თესლის გაშენდაზეც, ეპიზოოტიებთან ბრძოლაზეც, გზების შეკეთებაზეც.

პროექტის „ძირითადად“ მიღებისათვის კენჭისყრის შემდეგ მარტინოვმა კვლავ გააკვირვა და აღაშფოთა გოლუბკოვი იმით, რომ წინადადება შეიტანა ათჯერ მაინც შემოკლებულიყო პროექტი.

— მართლაც, — თქვა მან, — კარგი იქნებოდა, როგორც აქ ოპიონკინი ლაპარაკობდა, ისჯებოდნენ ის ამხანაგები, რომლებსაც ჩვენი დრო არ ენანებათ!.. ვინ წაიკითხავს ასეთ ორმოცდაათგვერდიან გადაწყვეტილებას საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებში? როდის მოასწრებენ იქ ამის წაკითხვას?

პროექტის შემცირების სასარგებლოდ ბევრმა ასწია ხელი.

გოლუბკოვი ადგა, ეტყობა უნდოდა მარტინოვს რაღაცაზე შეკამათებოდა, მაგრამ გადაფიქრა და ხელი ჩაიქნია...

სიჩუმეს ბამო არავის არ შეუტანია პროექტში არავითარი ცვლილება და დამატება.

გოლუბკოვი და მარტინოვი შეეჯახნენ ერთმანეთს უკვე საღამოს, რაიკომში.

— უხერხული იყო შენთვის, პირველი მდივნისათვის, სიტყვა შემოწყვეტინებინა და გამესწორებინა ეს, კრებაზე, — ეუბნებოდა გოლუბკოვი, — მაგრამ ეს არაფერს არა ჰგავს, ამხანაგო მარტინოვ! შენ კომუნისტებს უნერგავ უპატივცემლობას პარტიული დოკუმენტებისადმი, ჩვენი გადაწყვეტილებებისადმი!

— სწორედ პარტიული დოკუმენტებისადმი პატივისცემის გამო, — უპასუხა მარტინოვმა, რომელიც მოთმინებას კარგავდა, — არ შეიძლება რეზოლუციების ასე წერა! სიტყვების წყალში ვიხრჩობთ თავაურს! ოჯჯერ „განსაკუთრებული ყურადღება!“ ბოლოს და ბოლოს, ნამდვილად რა მოითხოვს **განსაკუთრებულ** ყურადღებას?.. სწორედ თქვენ, აი ასეთი კანცელარისტები, დიდნინშვილოვან პარტიულ დოკუმენტებს ფარატინა ქაღალდად აქცევთ ხოლმე! ჩვენი ბრალია — ჩვენი ინსტრუქტორები ცუდად მუშაობენ, მაგრამ შენც ხომ, როცა ჩამოდიხარ, **განსაკუთრებულ ყურადღებას** აქცევ მხოლოდ ქაღალდებს: როგორ არის დაწერილი გადაწყვეტილებანი? ეს შენთვის წერენ ჩვენი ამხანაგები ასეთ ყოვლისმომცველ რეზოლუციებს! ღმერთმა დაიფაროს, შარი არაფერში მოგვდოსო! „კედლის გაზეთები სადღაა? მასწავლებლთა შორის მუშაობა სადღაა? მაშასადამე, თქვენ ამ საკითხებზე არ მუშაობთ?“ — „არა, ბიძია, შარს ვერ მოგვდებ! კმუშაობდით! აი აქ ყველაფერია ჩაწერილი. ეს პუნქტები ჩაწერილია ათ გადაწყვეტილებაში!“.. ქაღალდის ძალის ბრმა რწმენაა: ჩაწერილია — მაშ გაკეთებულია. მაგრამ არა, სულაც არ არის გაკეთებული!..

— შენ აიცდინე პარტაქტივის კრება ძირითად საკითხებს! — თავისას გაიძახოდა გოლუბკოვი. — არსებითად თქვენ არც კი განგიხილავთ სოლქო კომიტეტის პლენუმის შედეგები. თურმე ნუ იტყვით, ეჭვი შეპპარვიათ, ძალიან ხშირად ხომ არ ვატარებთ პლენუმებს, კრებებს? მეტისმეტ ბევრ დროს ხომ არ ვანდომებთ სხდომებს? ეს კრებები კომუნისტური აღზრდის სკოლაა!

— ისინი **უნდა** იყოს კომუნისტური აღზრდის სკოლა! — ამობდა მარტინოვი. —გაიხნია რა კრებაა, როგორ უნდა ჩატარდეს ეგი! შენ რომ ძოგანდონ კრების მოწყობა, ვშიშობ, ის სკოლა არ გამოვა!

— აი შენ კი ჩინებულად ჩაატარე დღეს აქტივი!.. მე მოვახსენებ, რომ მოუმზადებლობის, საქმისადმი შენი არასერიოზული დამოკიდებულებისა და კიდევ ეშმაკმა იცის რა ოინების გამო, შენ დღეს თითქმის ჩაშალე პარტაქტივი!

— აბა შენ აეცი, მოახსენე! — მარტინოვს მოთმინება დაეკარგა და დაიწყო მაგიდიდან ქაღალდების ჩაწყობა სეიფში. — მოახსენე! ძხოლოდ მალე. გაზაფხული აბოლოდება, ახალმა მდივანმა რაიონის გაცნობა მაინც მოასწროს... მაგრამ არა მგონია, ამხანაგო გოლუბკოვ, რომ სოლქო კომიტეტში ყველანი... შენისთანები იყვნენ. გაერკვევიან.

* * *

დილით რუდენკომ სახლში შეუარა მარტინოვს. მარტინოვი, ნადეჟდა კირილოვნა და მათი ვაჟიშვილი დიმკა, სასადილო ოთახში საუზმობდნენ.

— დაბრძანდით, ივან ფომიჩ, — ნადეჟდა კირილოვნამ მაგიდასთან მეოთხე სკამი დადგა.

— გმადლობთ, — უარი თქვა რუდენკომ. — სამუშაოზე მივდივარ. ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ცოლს სახლიდან მშიერი გამოვესტუმრებინ.

დივანზე ჩამოჯდა.

— ხომ არ ნინობ, პიოტრ ილარიონოვიჩ, გუშინდელ ამბავს?..

— არა, არ ვნანობ. რაც იქნება, იქნება! — მარტინოვმა გაათავა ჩაი, ჭიქა ცოლს გაუწოდა მეორის დასასხმელად. — აი მომესმინე, ფომიჩ, სადამდე მიდის ყოველივე ეს. დიმკა! აბა გვითხარი, რას გეუბნებოდათ თქვენი პიონერხელმძღვანელი წინა შეკრებაზე.

დიმკა, ათიოდე წლის ბიჭი, ძალიან ჰგავდა მამას, ისეთივე ლურჯი თვალები და შავი თმა ჰქონდა. იგი ადგა მაგიდიდან და მივიდა ფანჯარასთან, სადაც ჩარჩოს სახელურზე ჩამოკიდებული იყო მისი სასწავლო პორტფელი წიგნებითა და რვეულებით.

— პიონერხელმძღვანელმა გვითხრა: „ნუ შეკრთებით, ბავშვებო, როცა ტრიბუნაზე ადიხართ. ეს რა გამოსვლაა — ორიოდე სიტყვას ატყვი და უკან წამოხვალ“...

მარტინოვმა და რუდენკომ გადაიხარხარეს.

— ვიცინით კი, მაგრამ საერთოდ სასაცილო არ არის — სამწუხაროა, — თქვა მარტინოვმა.

ნადეჟდა კირილოვნამ, რომელიც სუფრის ალაგებდა, ქმარს გაკვირვებით შეხედა:

— რაზე გაქვთ ლაპარაკი? „რაც იქნება, იქნებაო!..“ ისევ იწყება რამე?

— არაფერი, ნადია, — დაამშვიდა მარტინოვმა ცოლი. — სოლქო კომიტეტის ინსტრუქტორთან შელაპარაკება მომივიდა. ის, რასაკვირველია, მოხსენებითს ბარათს წარუდგენს მდივნებს, ზოგს ტუჯილს ჩაწერს, ზოგ კაბზიადებს. მაგრამ მეც ხომ შემიძლია განმარტება მივცე.

— პირდაპირ ტვინის წამღებია ეს გოლუბკოვი! — რუდენკომ თავი გააქნია. — რატომ ჰყავთ ასეთები პარტიულ სამუშაოზე?

— ის იყო თქვენთან სოლქო კომიტეტის რწმუნებულად, როცა გლუტოვი აიძ

დამთავრდა ინდონეზიის კომპარტიის ყრილობა

მასობრივი მიტინგი ჯაკარტაში

ჯაკარტა, 22 მარტი. (საკდესი). გუშინ ინდონეზიის კომპარტიის მეხუთე ყრილობის დამთავრებასთან დაკავშირებით ჯაკარტაში გაიმართა მიტინგი, რომელსაც 100 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. ჯაკარტის მშრომელები და ახლომახლო სოფლების გლეხები მიტინგზე მოვიდნენ ტრანსპარანტებით, რომლებსაც ეწერა: „გაუმარჯოს ინდონეზიის კომპარტიის მე-5 ყრილობას — ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისუფლების, დემოკრატიისა და ხალხთა შორის მშვიდობის ყრილობას“.

მიტინგზე გამოვიდა კომპარტიის გენერალური მდივანი აიდიტი. მან შეაჯამა ყრილობის შედეგები და დაწვრილებით შეეხო დემოკრატიული ძალების ამოცანებს ინდონეზიის მომავალი არჩევნებისათვის მზადებაში.

„საზარგაზნე ხორცის“ მომზადება „აფრიკის კონტინენტის დაცვის“ ალმით

პარიზი, 22 მარტი. (საკდესი). 11-დან 18 მარტამდე დაკარში (საფრანგეთის დასავლეთი აფრიკა) მიმდინარეობდა ეგრეთწოდებული „კონფერენცია აფრიკის კონტინენტის დაცვის საკითხებზე“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ექვსი ქვეყნის — ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, პორტუგალიის, ლიბერიისა და სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგაციებმა. გარდა ამისა, „ეთვალყურეთა“ სახით ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისელთა მიერ შექმნილი ცენტრალური აფრიკის ფედერაციის (როდეზია და ნიასალენდი) დელეგაციები.

თუმცა კონფერენცია აბსოლუტური საიდუმლოების ვითარებაში მიმდინარეობდა, პრესისა და საგენტობის ზოგიერთი ცნობა იმას მოწმობს, რომ ამ კონფერენციაზე დაისკა საკითხი სამხედრო მიზნებისათვის „აფრიკის ადამიანთა და მატერიალური რესურსების უფრო ფართოდ გამოყენების“ შესახებ. ფრანს პრესის საგენტომ გადმოსცა კონფერენციის თავმჯდომარის ეან მონსის განცხადება, რომ „ეს მოსაწვევს ახალ მისწრაფებას გამოყენებულ იქნას აფრიკის სტრატეგიული რესურსები“.

კონფერენციის დამთავრებას შემდეგ დაკარში არ გამოქვეყნებულა არავითარი კომუნიკე. მაგრამ, როგორც რეიტერის საგენტო იუწყებოდა, კონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელშიც „გათვალისწინებულია იმის შესაძლებლობა, რომ კონფერენციის მონაწილე ქვეყნების თავვრობები ნებას დართავენ უცხოთის ჯარების ყოფნას მათს ტერიტორიებზე, ანდა ამ ჯარების ტრანზიტს მათს ტერიტორიაზე“.

იმავე რეიტერის საგენტოს ცნობის თანახმად, ოქმში აღნიშნულია ის ღონისძიებანი, რომელთა საშუალებითაც „ნ ქვეყნის მთავრობებს შეუძლიათ მოახდინონ საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო კომუნიკაციების კოორდინირება აფრიკაში“.

სიძვირე ინგლისში

ლონდონი, 22 მარტი. (საკდესი). ლეიბორისტთა ყოველთვიური ბიულეტენი „ლეიბორ პრეს სერვისი“ წერს, რომ სიძვირე ინგლისში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. ბიულეტენი აქვეყნებს მონაცემებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ 1951 წლის ოქტომბრიდან 1954 წლის იანვრამდე კვების მთავარი პროდუქტები გაძვირდა შემდეგი ოდენობით: ბეკონი — 43,5 პროცენტით, პური — 25 პროცენტით, ერბო-კარაქი — 46,6 პროცენტით, ყველი — 200 პროცენტით, ფქვილი — 68,8 პროცენტით, დაკოსერვებული ხორცი — 71 პროცენტით, ახალი ხორცი — 57 პროცენტით, შაქარი — 33,3 პროცენტით, ბრინჯი — 40 პროცენტით, თავნაფქვი ბურღული — 19 პროცენტით.

ბიულეტენს მოჰყავს იგრეთვე სხვა მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა ყველა დანარჩენი სასურსათო საქონლის ფასები.

„პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების უხეში ცდა...“

სინხუას სააგენტო სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის თაობაზე ამერიკის მოსსენების შესახებ

პეკინი, 22 მარტი. (საკდესი). სინხუას სააგენტო ამხილებს სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის შესახებ „გაერთიანებული ერების სარდლობის“ მოხსენების მიზნებს. ეს მოხსენება, აღნიშნავს სააგენტო, არის ამერიკას მხარის მორიგი უხეში ცდა ქენევის მომავალ თათბირთან დაკავშირებით თავი აარიდოს პასუხისმგებლობას სამხედრო ტყვეთა ძალით დაკავებისათვის.

ამერიკის მოხსენება, ნათქვამია სააგენტოს ცნობაში, უსაფუძვლო უარყოფისა და ფაქტების დამახინჯების ამერიკის ძველი ტაქტიკის ნიმუშია. იგი ახალს ისეთს არაფერს შეიცავს, რაც დაკანონებდა ამერიკის მხარის მიერ სამხედრო ტყვეთა ძალით დაკავების შესახებ იმ უდავო ცნობების მნიშვნელობას, რომლებიც კორეა-ჩინეთის მხარემ წარმოადგინა და რომლებიც დადასტურებულია ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის მიერ.

ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის საბოლოო მოხსენებამ, რომელიც დაახლოებით ერთი თვის წინათ გამოქვეყნდა, უკვე გამოარკვია ამერიკის მხარის პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ჩაშალა სამხედრო ტყვეთა შორის ახსნაგანმარტებითი მუშაობა, არ დაუშვა მათი რეპატრიაცია და ძალით დაიკავა ისინი. ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის ამ მოხსენების დასკვნითს ნაწილში ნაზგასმით არის აღნიშნული, რომ სამხრეთ ბანაკში ორგანიზაციის არსებობა, რომელიც ამერიკის აგენტებმა შექმნეს და რომელსაც ისინივე ხელმძღვანელობენ, „აბათილებს მთელ მტკიცებულებას არჩევანის თავისუფლების შესახებ“, რაც თითქოს სამხედრო ტყვეებს ჰქონდათ. „კომისიამ აშკარად უნდა გაიაზროდოს, — ნათქვამია აღნიშნულ მოხსენებაში, — რომ მის მიერ მიღებული გამოკითხვების საფუძველზე ოვი დარწმუნდა, რომ თუ არ გაჩაღდა შემდგომი მუშაობა კომპეტენციის (ნეიტრალური კომისიის კომპეტენციის. — რედ.). შესახებ შეთანხმების უფრო სრული განხორციელებისათვის, მტკიცება, რომლის თანახმად სამხედრო ტყვეები ნებაყოფლობით ამობდნენ უარს რეპატრიაციაზე, ლტონი და დოკუმენტებით სრულიად დაუსაბუთებელი მტკიცება იქნება“.

კომისიის იმავე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ იმ დაბრკოლებათა შედეგად, რასაც აგენტები ქმნიდნენ, სამხედრო ტყვეთა მხოლოდ მცირე ნაწილმა სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით გამოიყენა რეპატრიაციის უფლება და რომ რეპატრიაციის მსურველი ზოგიერთი სამხედრო ტყვე აგენტებმა დაზოცეს.

ამერიკის მხარემ თავის მოხსენებაში, აღნიშნავს სინხუას სააგენტო, ვერ გაბედა ესსენებინა ეს ფაქტები და ნეიტრალური სარეპატრიაციო კომისიის დასკვნები. ამის ნაცვლად იგი შეეცადა თავი გაემართლებინა და დაიმოწმა ეგრეთწოდებული სხვა თვალსაზრისი ნეიტრალურ სარეპატრიაციო კომისიაში შვეიცის და შვეიცარიის წარმომადგენლებისა, რომლებიც ცდილობდნენ მიეჩქმალათ ამერიკის მხარის დანაშაულობანი. მაგრამ ეს დანაშაულობანი იმდენად ცხადია, რომ შვეიცარიის და შვეიცის წარმომადგენლებმაც კი შესაძლებლად ვერ ჩათვალეს სავსებით დაემალათ ისინი. გასული წლის ბოლოს აღნიშნულმა წარმომადგენლებმა განსაკუთრებულ წინასწარ მოხსენებაში აღიარეს, რომ ტონქინის ბანაკში სამხედრო ტყვეები ძლიერი ტერორისტული ორგანიზაციების კონტროლში იმყოფებოდნენ და „ეშინოდათ, არ დაგვხოცონო“, რომ „სამხრეთ ბანაკში ჩადენილ იქნა რამდენიმე მკვლელობა“. შვეიცის წარმომადგენლმა ნეიტრალურ სარეპატრიაციო კომისიაში გენერალ-მაიორმა იან სტენსტრუმმა 10 მარტს ბომბეიში აღიარა, რომ ამერიკელები ხელმძღვანელობდნენ აგენტებს, რომლებიც კლავდნენ რეპატრიაციის მსურველ სამხედრო ტყვეებს.

ცნობის დასასრულს სინხუას სააგენტო კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის მოხსენება არის ცდა — თავი აარიდონ პასუხისმგებლობას სამხედრო ტყვეთა მიმართ ამერიკელ ხელისუფალთა მიერ ჩადენილი დანაშაულისაგან.

ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 23 მარტი. (საკდესი). გუშინ ბუქარესტის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გამართა მე-15 ტური. ყაიმით დამთავრდა ხოლმოვ-ნეიმეტდინოვის, ფურმან-შანდორისა და შტალბერგ-ო'კელის პარტიები. სლიპამ დამარცხა სპო, ფილიპმ — ვოიკულესკუ.

ყურადღების ცენტრში იყო კორჩნოი-პეტროსიანის პარტია, რომელიც მწვავედ და დაძაბულად მიმდინარეობდა. უარი თქვა რა როქზე, კორჩნოიმ იერიში მიიტანა მეფის ფლანგზე. ფიგურების გაცვლის შემდეგ პარტიაში შეიქმნა ფოლოდა, სადაც უპირატესობა აქვს საბჭოთა ოსტატს. პარტია გადაიდო. გადაიდო აგრეთვე კლუგერ-ევიდის, ბელენელ-პაოლისა და ტროიანესკუ-ჩოკოლტეას პარტიები.

თხუთმეტი ტურის შემდეგ ნეიმეტდინოვს აქვს 11½ ქულა, კორჩნოის — 10 ქულა და ორი გადადებული პარტია, ხოლმოვსა და ფილიპს — ათ-ათი ქულა, პეტროსიანს — 9½ ქულა და ერთი გადადებული პარტია.

საბჭოთა კავშირისა და არგენტინის გუნდების ამხანაგური შეჯიბრება

გუენოს-აირესი, 22 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირისა და არგენტინის მოკალათეთა გუნდების ამხანაგური შეჯიბრების მესამე ტურში სსრ კავშირის ჩემპიონმა გროსმაისტერმა ავერბახმა მალე იგდო ხელში ინიციატივა მეფის ფლანგზე. 24-ე სვლაზე საბჭოთა ჩემპიონმა შესთავაზა კუ, მაგრამ პანომ მსხვერპლი არ მიიღო. სამი სვლის შემდეგ ავერბახმა ეტლი მისცა მხედარში და მიიღო ძლიერი იერიშის შესაძლებლობა. 31-ე სვლაზე საბჭოთა გროსმაისტერმა შესწორა მხედარი, რის შემდეგაც არგენტინის ჩემპიონმა პანომ თავი დამარცხებულად ცნო.

გროსმაისტერმა კოტოვმა, რომელიც თეორიებით თამაშობდა როსეტოს წინააღმდეგ, კარგი თამაშით მოიპოვა გამარჯვება. ბრონშტეინმა ნაიდორფის წინააღმდეგ შესამჩნევი უპირატესობა მოიპოვა რთული ბრძოლის შემდეგ, მაგრამ უძლიერეს ციტენტაში, რომელიც შემდეგ დაიწყო, ბრონშტეინმა ვერ იპოვნა სწორი განგრძობა, დაკარგა ფიგურა და იძულებული გახდა დანებებულიყო.

ელისკაზეს-ტალმანოვის, გელერ-მარტინისა და გიუმარ-ბოლესლავსკის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. ბოლბრონ-კერესის გადადებულ პარტიაში უპირატესობა არგენტინელ ოსტატს აქვს, ხოლო პილნიკ-პეტროსიანის პარტიაში მცირე უპირატესობა აქვს პეტროსიანს.

გროსმაისტერი ა. ტოლუში.

ტრადიციული კროსი გაზეთ „ლუმანიტეს“ პრიზზე

პარიზი, 22 მარტი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდთ, გუშინ ვინსენის ტყეში (პარიზის მახლობლად) გაიმართა ტრადიციული კროსი გაზეთ „ლუმანიტეს“ პრიზზე. კროსში მონაწილეობა მიიღო საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების რამდენიმე ათასმა სპორტსმენმა. ვინსენის ტყეში იპოდრომზე, სადაც კროსი მიმდინარეობდა, თავი მოიყარა 30 ათასამდე მაყურებელმა.

ქალთა რბენაში 2 კილომეტრზე პირველი სამი ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა ოტკალენკომ — 7 წუთი და 7,2 წამი, კომაროვამ — 7 წუთი და 15 წამი, სოლოპოვამ — 7 წუთი და 20,4 წამი; მეოთხე ადგილი დაიკავა პეშტკამ (პოლონეთი), მეხუთე — ჩერნოშეიკმა (სსრ კავშირი).

ვაჟთა რბენაში 10 კილომეტრზე პირველ ადგილზე გამოვიდა ე. ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკია) — 30 წუთი და 34 წამი, მეორე ადგილი დაიკავა ხრომეკმა (პოლონეთი) — 31 წუთი და 26 წამი, მესამე ადგილი — კუცმა (სსრ კავშირი)— 31 წუთი და 34,8 წამი, მეოთხე — პოფიდაევმა (სსრ კავშირი) — 31 წუთი და 38 წამი, მეხუთე — ანფერო